ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ
რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N 01-09/23 ბრძანების
დანართი 1

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო შიდა საგრანტო კონკურსის პირობები

1. ზოგადი დებულებები

1.1. ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტში შიდა საგრანტო პროექტი ცხადდება უნივერსიტეტის კვლევის მხარდაჭერის პოლიტიკის შესაბამისად.

1.2. საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში კვლევითი პროექტის წარდგენა შესაძლებელია:

1.2.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის განვითარების პოლიტიკით განსაზღვრულ კვლევით პრიორიტეტულ მიმართულებებში:

1. რესპირაციულ და გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან ასოცირებული ბიომარკერების და მათი მასინთეზირებელი გენეტიკური ლოკუსების შესწავლა;
2. ბრონქული ასთმის და ფქოდის რეგიონალური, ეპიდემიოლოგიური, სოციალურეკონომიკური მარკერების გამოვლენა, პრევენცია და მართვა
3. პოსტ-კოვიდური პოპულაციური ჯანმრთელობა;
4. ღვიძლის ტრანსპლანტაცია და იმუნოლოგია;
5. პრეპუბერტული და პუბერტული ასაკის ბავშვთა ზრდა-განვითარება, გლობალური განვითარება;
6. გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების ბიომარკერები და გენეტიკური ასპექტები.
7. სიმსივნის სკრინინგი ასიმპტომურ პოპულაციაში მრავლობითი სიმსივნის მარკერის გამოყენებით;
8. კოაგულოპათიების კვლევა სხვადასხვა კოჰორტაში.
9. ადიქტოლოგია;
10. შაქრიანი დიაბეტი და თირეოდოლოგია;
11. ჰაერისა და ზღვის წყლის დაბინძურების კვლევა;
12. ქალთა უფლებები და ფემიციდის პრევენცია.

1.2.2. უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტული მიმართულებებისაგან განსხვავებული მიმართულებით, კვლევის აქტუალობისა და რელევანტურობის დასაბუთებით.

1.3. საგრანტო პროექტი ფინანსდება ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტიდან, ავიცენას საუნივერსიტეტო სამეცენიერო კვლევების მხარდაჭერის წესის შესაბამისად.

2. ავიცენას შიდა საგრანტო პროექტის მიზანი

2.1. საგრანტო კონკურსის მიზანია უნივერსიტეტში კვლევითი კულტურის განვითარება, ავიცენას პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა, კვლევის პროცესში ავიცენას სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა და მათთვის კვლევითი უნარების განვითარება.

3. შიდა გრანტის მოცულობა და ხანგრძლივობა

3.1. საკონკურსოდ წარმოდგენილი კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს **9 თვეს** (საანგარიშო პერიოდი 3 თვე). საგრანტო განაცხადის შესწავლის საფუძველზე, საგრანტო საკონკურსო კომისია უფლებამოსილია ავტორისგან/ავტორთა ჯგუფისგან მოითხოვოს ვადების კორექტირება შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

3.2. ერთი გამარჯვებული კვლევითი პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტია - **7000,00 ლარი**.

4. საკონკურსო ვადები:

4.1. საგრანტო განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის მიღება ელ. ფოსტაზე - grants@abmu.edu.ge - **2025 წლის 10 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით.**

4.2. საგრანტო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური და შინაარსობრივი შეფასება კომისიის მიერ - **2025 წლის 21-27 ოქტომბერი**

4.3. გამარჯვებული პროექტ(ებ)ის გამოვლენა - **2025 წლის 28 ოქტომბერი**

4.4. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება - **2025 წლის 29 ოქტომბერი**

4.5. საგრანტო პროექტის განხორციელების დაწყება - **2025 წლის 01 ნოემბერი**

4.6. შუალედური ანგარიშების ვადა - **2026 წლის 05 იანვარი**

4.7. საგრანტო პროექტის დასრულება - **2026 წლის 01 აგვისტო**

4.8. საბოლოო ანგარიშის წარდგენა - **2026 წლის 17 აგვისტო**

5. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პირობები

5.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ავიცენას აკადემიურ პირს და/ან მოწვეულ მასწავლებელს.

5.2. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში პროექტის ავტორი უფლებამოსილია კვლევის პროცეში ჩართვის მიზნით მოიწვიოს სხვა დარგის სპეციალისტები თანაავტორის/მკლევარის სტატუსით. თანადაფინანსების შემთხვევაში საავტორო უფლება გამარჯვებული პროექტის შედეგებზე პირველ რიგში ეკუთვნის ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს.

5.3. პროექტში აუცილებლად ჩართული უნდა იყოს ავიცენას აქტიური სტატუსის მქონე მინიმუმ 1 სტუდენტი.

5.4. კვლევით პროექტში სტუდენტთა ჩართულობა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც თანაავტორობით, ასევე მკვლევარის სტატუსით - მონაცემთა შეგროვების და ანალიზის ეტაპებზე. პროექტის ფარგლებში სტუდენტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაიუმჯობესოს კვლევითი უნარები, რაც შეიძლება განხორციელდეს სტიპენდიური წახალისების ფორმით (თუ ეს გათვალისწინებულია კვლევითი ბიუჯეტით).

5.5. პროექტი უნდა აერთიანებდეს ავიცენას მინიმუმ 2 აკადემიურ/მოწვეულ პირს.

5.6. პროექტის აუცილებელი პირობაა კვლევის შედეგების გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ და ინდექსირებად ჟურნალში (Elsevier (Scopus და Science Direct) / Web of Science, etc.). გამოქვეყნების საფასური უზრუნველყოფილი უნდა იყოს პროექტის ბიუჯეტით.

5.7. პროექტი უნდა ითვალისწინებდეს კვლევის დასრულების შემდგომ სამუშაო შეხვედრის (ვორქ-შოფის) ორგანიზებას დაინტერესებულ პირთათვის კვლევის შედეგების გასაცნობად.

6. საგრანტო განაცხადის წარდგენა

6.1. კონკურსში მონაწილეობის მიზნით დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) შიდა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადი **(დანართი 1-1)**;

ბ) საპროექტო წინადადება **(დანართი 1-2)**;

გ) კვლევითი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი **(დანართი 1-3)**;

დ) ბიუჯეტი **(დანართი 1-4)**;

ე) CV უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით;

ვ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. სამეცნიერო კვლევითი პროექტის შეფასება

7.1. საგრანტო განაცხადის შეფასებას უზრუნველყოფს შიდა საგრანტო კომისია. საგრანტო კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით საუნივერსიტეტი სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

7.2. საგრანტო განაცხადის შეფასება ხორციელდება **2 ეტაპად**:

I ეტაპი: განაცხადის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფორმალური შესაბამისობის შემოწმება;
II ეტაპი: წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსობრივი შეფასება, განსაზღვრული შეფასების სკალით (100-ქულიანი შეფასების სისტემა).

7.3. შიდა საგრანტო კომისია აფასებს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში შემოსულ ყველა საგრანტო განაცხადს, დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად **(დანართი N 1-5)**.

7.4. საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებია **(დანართი 1-5)**:

- კვლევითი პროექტის შესაბამისობა უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან;
- საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა;
- კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა;
- კვლევის მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზნებთან;
- კვლევის საკითხის ინტერდისციპლინურობა;
- სტუდენტის ჩართულობა;
- სამოქმედო გეგმის რეალისტურობა;
- ბიუჯეტის მიზნობრიობა და შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან;
- საერთაშორისო პუბლიკაციის პოტენციალი.

7.5. საგრანტო განაცხადის შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომლებიც გამოირჩევიან:

- კვლევის პროექტში სტუდენტების ჩართულობით
- საკვლევი თემის ინტერდისციპლინურობით;
- ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში საკვლევი თემის აქტუალობით;
- კვლევის მეთოდების ორიგინალობითა და ეფექტიანობით;
- კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით.
- საერთაშორისო პუბლიკაციის პოტენციალით.

7.6. საგრანტო განაცხადის დაფინანსების საკითხს კომისია განიხილავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადის შეფასება აღემატება შეფასების ზღვარს (71 ქულა 100-დან).

7.7. შერჩეულ პროექტებს შორის თანაბარი ქულის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ კვლევით პროექტს, რომელიც დააკმაყოფილებს წინამდებარე მუხლის 7.5 პუნქტით გათვალისწინებული საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმიდან არანაკლებ 70%-ს.

7.8. საგრანტო განაცხადი მოიხსნება კონკურსიდან, თუ საგრანტო განაცხადის შეფასება უფრო დაბალია, ვიდრე შეფასების ზღვარი.

7.9. იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადის შეფასება უფრო მაღალია, ვიდრე შეფასების ზღვარი, საგრანტო კომისიამ შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) **რეკომენდაცია პროექტების დაფინანსების შესახებ -** თუ დადებითი შეფასების მქონე საგრანტო პროექტებით მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობა არ აღემატება კვლევით ბიუჯეტს;

ბ) **რეკომენდაცია შესაბამისი რაოდენობის უმაღლესი შეფასების მქონე პროექტების დაფინანსების შესახებ -** თუ დადებითი შეფასების მქონე საგრანტო პროექტებით მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობა აღემატება კვლევით ბიუჯეტს.

7.10. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება აღიწერება კომისიის ოქმში, რომელიც წარედგინება კონკურსის მონაწილეებს, რექტორს და აკადემიურ საბჭოს

8. კვლევის ორგანიზაციული მხარდაჭერა და მონიტორინგის მექანიზმები

8.1. გამარჯვებული პროექტის მიმდინარეობის პროცესს ზედამხედველობას უწევს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

8.2. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აფასებს კვლევის მიმდინარეობის პროგრესს და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს.

8.3. გამარჯვებული პროექტის ავტორ(ებ)ი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ შუალდური ანგარიში პროექტის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში და საბოლოო ანგარიში პროექტის დასრულებიდან 1 თვის ვადაში.

9. საგრანტო კონტრაქტი

9.1. საგრანტო კონკურსში გამარჯვების შემდეგ, კონკურსანტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება, ხოლო პროექტში მონაწილე პირებთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები.

9.2. კვლევის შედეგების ინტელექტუალური საკუთრება პირველ რიგში ეკუთვნის ავიცენა – ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს, თუ სხვა პირობები არ იქნება განსაზღვრული საგრანტო ხელშეკრულებით.

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს /

To the Rector of Avicenna - Batumi Medical University

მედიცინის სკოლის აკადემიური პირი/მოწვეული მასწავლებელი

Academic staff/invited teacher at the School of Medicine

სახელი, გვარი:
Name, Surname: _____

პირადი N
ID: _____

ელ. ფოსტა:
e-mail: _____

ტელეფონის ნომერი:
Phone number: _____

განაცხადი შიდა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ / Application for Participation in the Internal Research Grant Competition

1. ზოგადი ინფორმაცია / General Information

პროექტის დასახელება:
Project Title:: _____

პროექტის ხანგრძლივობა (თვეებში):
Duration (in months): _____

პროექტის დაწყების სავარაუდო თარიღი:
Expected Start Date: _____

2. პროექტის ხელმძღვანელის შესახებ ინფორმაცია / Information about the project supervisor

სახელი, გვარი:
Name, Surname: _____

აკადემიური პოზიცია:
Academic Position: _____

3. პროექტის მონაწილეები (სტუდენტ(ებ)ის ჩათვლით) / Project Team Members (Including Student(s))

N	სახელი, გვარი / Name, Surname	სტატუსი / Position	როლი პროექტში / Role in Project

1			
2			
3			

(დაამატეთ ველები საჭიროებისამებრ / More rows may be added if needed)

4. თანდართული დოკუმენტაცია / Attached Documents

CV უნივერსიტეტის დადგენილი ფორმით / CV (university template) ☐

საპროექტო წინადადება / Project Proposal ☐

კვლევითი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი / Research Project Implementation Plan and Timeline ☐

კვლევითი პროექტის ბიუჯეტი / Research Project Budget ☐

ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) / Co-funding Statement (if applicable) ☐

სხვა _____
Other _____ ☐

(მონიშნეთ შესაბამისი ველები / Please check all that apply)

5. თანდართული დოკუმენტაცია / Attached Documents

მე, ქვემოთ ხელმომწერი, ვადასტურებ, რომ განაცხადში წარმოდგენილი ინფორმაცია სწორია და სრულად შეესაბამება შიდა საგრანტო კონკურსის პირობებს.

I, the undersigned, hereby confirm that the information provided in this application is accurate and fully complies with the internal research grant competition requirements.

ხელმოწერა:
Signature: _____

თარიღი:
Date: _____

ნდ/ND: 01-09/23
თარიღი/Date: 10/09/2025
დანართი/Appendix: 1-2

ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი
AVICENNA
Batumi Medical University

საპროექტო წინადადება / Project Proposal

[კვლევითი პროექტის სათაური / Research Project Title]

პროექტის ხელმძღვანელი/Project Supervisor: [სახელი, გვარი / Name, Surname]
[აკადემიური პოზიცია / Academic Position]
[აფილაცია და საკონტაქტო დეტალები / Affiliation and Contact Details]

პროექტის წარდგენის თარიღი / Project Submission Date: [_____]

1. შესავალი / Introduction

1.1. კვლევის პრობლემის ფორმულირება / Problem Statement

საკვლევი თემის მოკლე მიმოხილვა და მისი აქტუალობა. განიხილეთ და შეაჯამეთ არსებული ცოდნა და ხარვეზები. ჩამოაყალიბეთ კონკრეტული პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ისახავს თქვენი კვლევა. *(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)*	*Brief overview of the research topic and its relevance. Summarize the current state of knowledge and identify existing gaps. Clearly define the specific problem your research intends to address.* *(Recommended word count - 200)*

პასუხი/Answer:

1.2. კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, კვლევის სიახლე / Theoretical and Practical Significance of the Research; Novelty

მიმოიხილეთ საკვლევი თემა, დაასაბუთეთ კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა; აღწერეთ პროექტის გამოწვევები, კვლევის შედეგების მნიშვნელობა რეგიონისთვის, ქვეყნისთვის და გლობალური მასშტაბით; მიუთითეთ კვლევის პოტენციური გავლენა სფეროსა და ფართო საზოგადოებაზე. აღწერეთ კვლევის სიახლე და ინოვაციურობა. *(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 600)*	*Briefly review the research topic and justify its theoretical and practical significance. Describe the challenges addressed by the project and the importance of the research outcomes for the region, the country, and the global context. Indicate the potential impact of the study on the field and broader society. Highlight the novelty and innovative aspects of the proposed research.* *(Recommended word count - 600)*

პასუხი/Answer:

1.3. კვლევის მიზნები და ამოცანები / Research Goals and Objectives

აღწერეთ კვლევის მიზნები, ჩამოაყალიბეთ მიზნის მისაღწევად დასახული კონკრეტული ეტაპები და ამოცანები, მათ შორის - მოსალოდნელი შედეგები. *(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)*	*Describe the research goals and outline the specific stages and tasks planned to achieve these goals, including the expected outcomes.* *(Recommended word count - 200)*

პასუხი/Answer:

1.4. <u>კვლევის შეკითხვა / Research Question</u>

ჩამოაყალიბეთ ძირითადი კვლევის შეკითხვა/ჰიპოთეზა, რომელზე პასუხის გაცემას/გადამოწმებასაც შეეცდებით ამ კვლევით	*Formulate the main research question or hypothesis that the study aims to answer or test*

პასუხი/Answer:

2. კვლევის მეთოდოლოგია / Research Methodology

აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია - განხორციელების ეტაპები, მათ შორის კვლევის დიზანი, მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მეთოდები, კვლევის შეზღუდვები, არჩეული კვლევის მეთოდების უპირატესობები და ეთიკური საკითხები. დაასაბუთეთ კვლევის მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზნებთან. *(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 300)*	*Describe the research methodology - implementation stages, including design, data collection, and analysis methods, restrictions/limitations, advantages of the research methods, and ethical considerations. Justify its compliance with the research goals.* *(Recommended word count - 300)*

პასუხი/Answer:

3. კვლევის მოსალოდნელი შედეგები და გავრცელების გეგმა / Expected Outcomes/Results and Dissemination methodology of the research

შეაჯამეთ კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი მნიშვნელობა, მისი წვლილი სფეროში. მიუთითეთ პროექტის დასრულების შემდეგ დაგეგმილი სამეცნიერო ღონისძიებები, პუბლიკაციები და სხვა აქტივობები. *(სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)*	*Summarize the expected research outcomes, their significance, and the study's contribution to the field. Include planned publications, scientific events, and activities after project completion.* *(Recommended word count - 200)*

პასუხი/Answer:

N	აქტივობა / Activity	განრიგი/timeline	შენიშვნა / Note
1	კვლევის შედეგების უნივერსიტეტში წარდგენა Presentation of research findings at the university		
2	კონფერენციაში მონაწილეობა ან ვორქშოფში Participation in a conference or workshop		
3	* სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისოდ რეფერირებად (Web of Science, Scopus, etc.) ჟურნალში (მიუთითეთ სამიზნე ჟურნალი) * Publication of the article in an internationally indexed journal (Web of Science, Scopus, etc.) (Please indicate the target journal)		

** სავალდებულოდ შესასრულებელი აქტივობა / Mandatory activity*

4. კვლევის პროექტის განხორციელების გეგმა-განრიგი და ბიუჯეტი / Research Project Timeline and Budget

4.1. კვლევის პროექტის განხორციელების გეგმა-განრიგი / Research Project Implementation Plan and Timeline

პროექტის განრიგის მოკლე მიმოხილვა, ძირითადი ეტაპების მიხედვით დაყოფილი ფორმით.	*A brief overview of the project timeline, structured by key stages.*
შენიშვნა: კვლევის პროექტის გეგმა-განრიგი ივსება ცალკე, უნივერსიტეის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და თან დაერთვის საპროექტო წინადადებას.	***Note: The detailed project plan and timeline must be completed separately in accordance with the university-approved format and attached to the project proposal.***

იხ. დანართი 1-3 / See Annex 1-3

4.2. *კვლევის ბიუჯეტი / Research Budget*

(მიუთითეთ რა ტიპის ხარჯებია გათვალისწინებული პროექტის ბიუჯეტში (კვლევითი პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები, მათ შორის სტატიის გამოქვეყნების საფასური და სხვა)	*(Indicate the types of expenses included in the project budget (e.g., costs required for the implementation of the research project, including article publication fees and other related costs).*
შენიშვნა: კვლევის ბიუჯეტი ივსება ცალკე, უნივერსიტეის მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და თან დაერთვის საპროექტო წინადადებას.	***Note: The research budget must be completed separately, using the university-approved template, and attached to the project proposal.***

იხ. დანართი 1-4 / See Annex 1-4

5. გამოყენებული ლიტერატურა / References

(მიუთითეთ ყველა წყარო, რომელიც გამოყენებულია საპროექტო წინადადებაში (APA ან Vancouver სტილში)	*(List all sources cited in the project proposal, using a consistent citation style (e.g., APA or Vancouver).*

პასუხი/Answer:

ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი
AVICENNA
Batumi Medical University

ნდ/ND: 01-09/23
თარიღი/Date: 10/09/2025
დანართი/Annex: 1-3

კვლევითი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი / Research Project Implementation Plan and Timeline

N	კვლევის ამოცანა / Research Objective	პერიოდი / Timeline		პასუხისმგებელი პირი / Responsible Person	შედეგი / Outcome	შენიშვნა / Notes
		დაწყება / Start	დასრულება / End			

პროექტის ხელმძღვანელი / Project Supervisor: _____

თარიღი / Date: _____

ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი
AVICENNA
Batumi Medical University

ნდ/ND: 01-09/23
თარიღი/Date: 10/09/2025
დანართი/Annex: 1-4

კვლევითი პროექტის ბიუჯეტი
Research Project Budget

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სათაური:
Title of the scientific-research project: _____

პროექტის განხორციელების ვადები: **დაწყება / Start** _____ **დასრულება / End:** _____

N	ხარჯების კატეგორია / Expense Category	ერთეულის ღირებულება / Unit Cost	რაოდენობა / Quantity	მთლიანი ღირებულება / Total Cost (GEL)	შენიშვნა / Notes
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					
8					
9					
10					

11					
12					
13					
				სულ / Total (GEL)	**0**

** ბიუჯეტში აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ნაშრომის გამოქვეყნების ხარჯი / The publication cost of the article must be included in the project budget.*

მოთხოვნილი დაფინანსება / Requested Grant (GEL) **0**

თანადაფინანსება / Co-Funding (GEL)

გთხოვთ, დააკონკრეტოთ თანადაფინანსების წყაროები (საჭიროების შემთხვევაში) / Please specify the sources of co-funding (if applicable) _____

პროექტის ხელმძღვანელი / Project Supervisor: _____

თარიღი / Date: _____

საგრანტო განაცხადის შეფასების შეფასების ფორმა

Grant Application Evaluation Form

პროექტის სათაური:
Title of the project: _____

პროექტის ხელმძღვანელი:
Project Supervisor: _____

შეფასების კრიტერიუმი / Assessment criteria	მაქსიმალური ქულა / Highest score	შეფასების ქულა / Assessment score	შენიშვნა / Note
კვლევითი პროექტის შესაბამისობა უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან *კვლევითი პროექტი ითვალისწინებს კვლევით მიმართულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის კვლევის განვითარების პოლიტიკით.* **Alignment with the university's research priorities** *The research project reflects directions defined by the university's research development policy.*	10		
საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა *დასმული საკითხი არის ინოვაციური, ითვალისწინებს არსებული სამედიცინო, სოცiალური, სამეცნიერო ან სისტემური საჭიროებების კონტექსტს. საკვლევი თემა აქტუალურია ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში.* **Originality and relevance of the research topic** *The research question is innovative and responds to current medical, social, scientific, or systemic needs. The topic is relevant in both local and international contexts.*	15		
კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა *კვლევის თეორიული კონტექსტი მნიშვნელოვანია და აქვს პრაქტიკაში გამოყენების მაღალი პოტენციალი* **Theoretical and practical significance of the research** *The theoretical framework of the research is significant, and the study has strong potential for practical application.*	15		
კვლევის მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზნებთან *შერჩეულია თანამედროვე, კონტექსტზე მორგებული კვლევის მეთოდი, რომელიც, შესაბამისობაშია კვლევის მიზნებთან.* **Compliance of the research methods with the research objectives** *Modern, context-specific research methods are selected and are well aligned with the research objectives.*	10		
კვლევითი საკითხის ინტერდისციპლინურობა *კვლევა არის ინტერდისციპლინური, ითვალისწინებს და აერთიანებს სხვადასხვა დისციპლინებს.*	10		

Interdisciplinarity of the research topic *The research is interdisciplinary, integrating and considering perspectives from different academic fields.*			
სტუდენტის ჩართულობა *გათვალისწინებულია სტუდენტის მონაწილეობა კვლევაში. პროექტი ემსახურება სტუდენტის კვლევითი უნარების გათვალისწინებას.* **Student involvement** *Student participation is considered within the research, contributing to developing their research skills.*	10		
სამოქმედო გეგმის რეალისტურობა განსაზღვრულია კვლევის განხორციელების ეტაპები, დაგეგმილი ღონისძიებები არის რეალისტური და შესრულებადი. **Feasibility and clarity of the implementation plan** The research stages are clearly defined, and the planned activities are realistic and achievable.	10		
ბიუჯეტის მიზნობრიობა და შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან ბიუჯეტი არასახავს პროექტის რეალურ საჭიროებას. ბიუჯეტი არის გამჭვირვალე და მიზნობრივად განაწილებული. **Budget relevance and alignment with the project's objectives** The budget reflects the real needs of the project. It is transparent and purposefully allocated.	10		
საერთაშორისო პუბლიკაციის პოტენციალი საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, კვლევას გააჩნია საერთაშორისო პუბლიკაციის პოტენციალი. **International publication prospects** Given the relevance of the topic, the research demonstrates strong potential for international publication.	10		
ჯამური ქულა: **Total Score:**	**100**		

კომისიის წევრი:
Member of Committee: _____

ხელმოწერა:
Signature: _____

თარიღი:
Date: _____